

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს სმარტ სორსი

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-16

შპს "სმარტ სორსი"

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული**

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>1</u>	274 572	
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	<u>2</u>	2 402 380	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	<u>3</u>	1 378	
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	473 200	
ინვესტიციები სხვა საწარმოში		57 868	
სულ აქტივები		3 209 398	
ვალდებულებები			
სავაჭრო და	<u>5</u>	1 591 608	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		1 591 608	
საწესდებო კაპიტალი		0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	<u>3</u>	-392	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 618 182	
სულ კაპიტალი		1 618 182	
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 209 398	

დირექტორი:

ზაგრატი დეისაძე

მთავარი ბუღალტერი:

სოფიო მამულაიძე

შპს "სმარტ სორსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კონსოლიდირებული

(ლარში)


	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>1</u>	274 572	
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	<u>2</u>	2 402 380	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	<u>3</u>	1 378	
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	473 200	
ინვესტიციები სხვა საწარმოში		57 868	
სულ აქტივები		3 209 398	
ვალდებულებები			
სავაჭრო და	<u>5</u>	1 591 608	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		1 591 608	
საწესდებო კაპიტალი		0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	<u>3</u>	-392	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 618 182	
სულ კაპიტალი		1 618 182	
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 209 398	

დირექტორი:



ზაგრატი დეისაძე

მთავარი ბუღალტერი:



სოფიო მამულაიძე

შპს "სმარტ სორსი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული (ლარში)

	შენიშვნა	2020
შემოსავალი		7 916 717
საერთო მოგება		7 916 717
სხვა შემოსავლები		92 647
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>6</u>	(6 573 670)
საოპერაციო მოგება		1 435 694
ფინანსური შემოსავალი		
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(21148)
მოგება დაბეგვრამდე		1 414 546
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		1 414 546
მთლიანი სრული შემოსავალი		1 414 546

დირექტორი:

ბაგრატ დეისაძე

მთავარი ბუღალტერი:

სოფიო მამულაიძე

შპს "სმარტ სორსი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული (ლარში)

	შენიშვნა	2020
შემოსავალი		7 916 717
საერთო მოგება		7 916 717
სხვა შემოსავლები		92 647
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>6</u>	(6 573 670)
საოპერაციო მოგება		1 435 694
ფინანსური შემოსავალი		
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(21148)
მოგება დაბეგვრამდე		1 414 546
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		1 414 546
მთლიანი სრული შემოსავალი		1 414 546

დირექტორი:



ბაგრატ დეისაძე

მთავარი ბუღალტერი:



სოფიო მამულაიძე

შპს "სმარტ სორსი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება კონსოლიდირებული
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	0	0	0
წმინდა მოგება	-	1 414 546	1 414 546
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-		
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	0	1 414 546	1 415 546

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმარტ სორსი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 16 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405383801. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. დილომი, დავით აღმაშენებლის IV შეს., N 3. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება SIERACOM LIMITED, HE 431231 /კვიპროსი/. კომპანიის დირექტორია ბაგრატ დეისაძე.

2020 წლის 31 დეკემბრის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 24 (ოცდა ოთხი)-ადამიანი.

შპს სმარტ სორსი ფლობს 100 % წილს NEW AGE SOLUTIONS UKRAINE LIMITED LIABILITY COMPANY -ში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მის ფასს სტანდარტებზე გადავიდა დაფუძნებისთანავე, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის 16 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი				დოლარი	ევრო
კურსი	2020	წლის	31	3.2766	4.0233
დეკემბრისთვის					
კურსი	2019	წლის	31	2.8677	3.2095
დეკემბრისთვის					

ძირითადი სააღრიცხვ ოპოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული დაფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
არამატერიალური აქტივი	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, დაასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხისკ ორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდებ ადარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის

მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსური ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სასამართლო დავა.

**შენიშვნა 1- ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები
კონსოლიდირებული**

ლარში	2020 წლ ის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	0
ფული საბანკო	
ანგარიშებზე	2 412 88,51
სულ ჯამი	2 412 88,51

**შენიშვნა 2 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
კონსოლიდირებული**

ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2 402 380	
სხვა მოკ.ვადი.მოთხოვნები		
სულ ჯამი	2 402 380	

შენიშვნა 3 - სხვა აქტივები კონსოლიდირებული

ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	
სხვა აქტივი	391,76	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1 377,58	
სულ ჯამი	1 769,34	

შენიშვნა 4- ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებული

ლარში	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2020 წლის საწყისი მდგომარეობით	0	0
შესყიდვა	598 364	598 364
გასვლა		-
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	598 364	598 364

2020 წლის ბოლოს მდგომარეობით

საბალანს ოღირებულება

2020 წლის საწყისი

2020 წლის ბოლოს

598 364

598 364

შენიშვნა 4 - არამატერიალური
აქტივები კონსოლიდირებული

არამატერიალური აქტივი

ლარი

2020 წლის საწყისი

შემოსავლა

გასვლა

2020 წლის ბოლოს

პროგრამული უზრუნველყოფა

ჯამი

0

0

193 979

193 979

-

-

193 979

193 979

დაგროვილი ამორტიზაცი

კონსოლიდირებული

2020 წლის საწყისი

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

პროგრამული უზრუნველყოფა

ჯამი

0

0

309 503

309 503

-

309 503

309 503

კომპიუტერული ტექნიკა

ჯამი

2020 წლის საწყისი

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

0

0

9 641

9 641

-

9 641

9 641

2020 წლის ბოლოს

2020 წლის ბოლოს

319 144

319 144

საბალანსო ღირებულება

2020 წლის საწყისი

2020 წლის ბოლოს

0	0
473 200	473 200

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები კონსოლიდირებული

ლარში

2020 წლის 31

იანვარი

სავაჭრო ვალდებულებები

1 591 608

სხვა ვალდებულებები

სულ ჯამი

1 591 608

შენიშვნა 6 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი კონსოლიდირებული

ლარი

2020 წლის 31

დეკემბერი

შრომის ანაზღაურება

(639 635)

იჯარის ხარჯი

(13 733)

ჰოსტინგის მომსახურება

(1 135 913)

IT მომსახურება

(4 528 068)

საბროკერო მომსახურება

(51 973)

საპენსიო ხარჯი

(12 925)

სხვა ადმინისტრაციული

ხარჯი

(191 423)

სულ ჯამი

(6 573 670)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბრი.

დირექტორი: ბაგრატ დეისაძე

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბრი.

დირექტორი: ბაგრატ დეისაძე

